

პანკისში დაგეგმილი ჰესების ეკოლოგიური დასკვნის დოკუმენტების კრიტიკული ანალიზი

1. ზოგადი მიმოხილვა

პანკისის ხეობაში, მდინარე ალაზანსა და მის შენაერთებზე 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ ორი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე გაიცა ნებართვა. აღნიშნული ნებართვების გაცემამდე სახელმწიფოს კომპანიაზე მემორანდუმის საფუძველზე უკვე ჰქონდა გაცემული ზოგადი თანხმობა ჰესების მშენებლობაზე. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების გაცემა კი ჰესებზე ისე მოხდა, რომ ადგილობრივების დემოკრატიული მონაწილეობა ამ პროცესში არ მომხდარა, რაც ადგილობრივ თემში მაღალ უკმაყოფილებას და სოციალურ პროტესტს იწვევს. ჰესების გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტებისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების ანალიზი აჩვენებს, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასება კუმულაციურად ყველა ჰესიდან (ჰესების კასკადიდან) მომდინარე რისკების ერთიანობაში გათვალისწინებით არ მომხდარა. ამასთან ეკოლოგიური დასკვნების გაცემა ფუნდამენტური კვლევების ჩატარების და გამოკვლევის გარეშე მოხდა. არსებობს მაღალი რისკები, რომ ჰესების კასკადის მშენებლობა არსებითად შეამცირებს სასმელი წყლის რესურსს ხეობაში, ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენს ხეობაში მდებარე უნიკალურ დაცულ ტერიტორიებს და არსებითად შეამცირებს ხეობის ტურისტული განვითარების შესაძლებლობებს.

ჰესების მშენებლობის მხარდაჭერის პროცესში აქტიურად ჩანს უსაფრთხოების და სამართალდამცავი ორგანოების ნეგატიური მონაწილეობა და ჰესების მოწინააღმდეგე აქტივისტების ინტენსიური საპოლიციო კონტროლის თვითნებური პრაქტიკები, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის ადგილობრივების უკმაყოფილებას.

თემირლან მაჩალიკშილის სიცოცხლის ხელყოფის საქმის შემდეგ, ჰესებთან დაკავშირებით გარემოსდაცვითი ინტერესების და მათი სოციალური უკმაყოფილების იგნორირება სახელმწიფოს მხრიდან და კონტროლის საპოლიციო პრაქტიკების გაძლიერება, ადგილობრივებში მაღალ სოციალურ ფრუსტრაციას იწვევს და ეთნიკური ნიშნით გარიყულობის სენტიმენტებს ასევე ქმნის.

EMC ორივე ჰესთან დაკავშირებით, ადგილობრივი მოსახლეობის სახელით აწარმოებს სასამართლო დავას და გაცემული მშენებლობის ნებართვებისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმებას მოითხოვს.

მითითებული თემის მიმართ არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე EMC აფასებს თუ რა ძირითად ხარვეზებს შეიცავს ორივე ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის სანებართვო დოკუმენტაცია, კერძოდ კი, გარემოზე ზემოქმედების ანგარიში (გზშ) და მასზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

2. ჰიდროელექტროსადგური - ხადორი 3 ეკოლოგიური დასკვნის შეფასება

5.4 მგვტ/სთ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის, „ხადორი 3“-ს მშენებლობა სოფელ ბირკიანთან, მდინარე ალაზანზე დაგეგმილია შპს „ფერის“ შვილობილი კომპანიის შპს „ალაზანი ენერჯის“ მიერ.

გზშ წარმოადგენს იმ ძირითად დოკუმენტს, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მომზადდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და შეფასდეს კონკრეტული სამშენებლო ობიექტის მშენებლობის რისკები გარემოზე. გზშ წარმოადგენს მშენებლობის ძირითად სანებართვო პირობებს, შესაბამისად

აღნიშნულ დოკუმენტში არაორაზროვნად უნდა იყოს შეფასებული მშენებლობის შედეგად დამდგარი ყველა შესაძლო რისკი და გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი შემარბილებელი ან/და ალტერნატიული საქმიანობები.

ხადორი 3 ჰესის [გარემოზე ზემოქმედების ანგარიში](#) შეიცავს შემდეგ ხარვეზებს:

1. ჰესის მშენებლობის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს ჰესის მშენებლობის შედეგად, სოფელი ბირკიანის მიმდებარედ მდინარე ალაზნის 90%-ის მიწებში მოქცევის საკითხი წარმოადგენს, რომლის შედეგადაც მდინარეში რჩება მდინარის არსებული მოცულობის მხოლოდ 10%, რაც არსებით გავლენას მოახდენს მდინარე ალაზნის მიმდებარედ არსებულ სოციალურ და ეკოლოგიურ გარემოზე.

პროექტის თანახმად ხადორიჰესი 3 იმუშავებს, უკვე ფუნქციონირებადი ხადორიჰესი 2-ის გამონამუშევარ წყალზე. ამასთან გზმ-ს თანახმად მდინარის ეკოლოგიური ხარჯი, ანუ მდინარის ის მოცულობა რაც დარჩება ჰესის მშენებლობის შემდეგ მხოლოდ 10%-ს წარმოადგენს. შესაბამისად, ჰესის მშენებლობის პირობებში, სოფელი ბირკიანის მიმდებარედ არსებითად შეიცვლება მდინარე ალაზნის კალაპოტი და არსებული მოცემულობის ნაცვლად მდინარეში დარჩება მხოლოდ მდინარის 10% (ე.წ ეკოლოგიური ხარჯი). თუმცა გზმ-ს ანგარიშში ვერსად ვერ ვხვდებით აღნიშნული ეკოლოგიური ხარჯის დათვლის მეთოდოლოგიას, რაც ჰესის მშენებლობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ანუ კომპანიას არსად არ აქვს ნახსენები რატომ ტოვებს მდინარეში მხოლოდ 10%-ს და არა უფრო მეტს.

2. პროექტის თანახმად ხადორი-3 ჰესის წყალჩაშვების ობიექტის მშენებლობა დაგეგმილია რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით სოფელი დუისის და ბირკიანის წყალმომარაგების ფილტრატებიდან (სოფლის სასმელი წყლით მომარაგების ძირითადი წყაროდან). აღნიშნულით კი შეიძლება იმის თქმა, რომ დუისის და ბირკიანის მოსახლეობას ჰესის აშენების შემდეგ წყალი სამივე ჰესის წყალმიღებების, ტურბინების, გვირაბების და მილსადენების გავლის შემდეგ მიეწოდება. თუმცა აღნიშნულის თაობაზე საერთოდ არ არის ნახსენები გზმ-ს ანგარიშში.

თუმცა, გზმ-ს ანგარიშში „ავარიული სიტუაციების აღწერა დონეების მიხედვით“ აღწერილია ისეთი სიტუაცია როდესაც შესაძლებელია წყალში მოხდეს საშიში ნივთიერებების გაჟონვა, კერძოდ, II დონედ განიხილება საშიში ნივთიერებების დაღვრა 0,3 ტ-დან 200 ტ-მდე. შესაბამისად, გზმ-ს ანგარიშში საუბარია ასეთი ნივთიერებების გაჟონვის შესაძლებლობაზე, თუმცა საუბარი არ არის იმ საკითხზე, რომ ეს ნივთიერებები შესაძლებელია პირდაპირ აღმოჩნდეს სოფლის მოსახლეობის სასმელ წყალში. გზმ-ში აღნიშნული საკითხის არასახვასთან ერთად შესაბამისად არ არის ასახული ის პრევენციული ღონისძიებები რომელიც მოსახლეობას დაიცავდა მსგავსი საშიშროებისგან.

3. სასმელ წყალთან დაკავშირებული საფრთხეების გარდა, გზმ-ს ანგარიში არ შეიცავს პასუხებს, ჰესის მშენებლობის პროცესთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საფრთხეებთან დაკავშირებითაც:

- გზმ-ს ანგარიში არ შეიცავს დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიის ალტერნატივების შესახებ ინფორმაციას;
- გზმ-ს ანგარიშში არ არის წარმოდგენილი დეტალური კვლევები უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რასაც ადასტურებს როგორც თავად ანგარიშში არსებული ჩანაწერებიც, ასევე უშუალოდ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაც, რომელიც ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღებიდან 6 თვის შემდეგ ითვალისწინებს ისეთი კვლევების ჩატარების

ვალდებულებას, რომელიც კანონმდებლობის თანახმად დადებითი დასკვნის გაცემისთვის უკვე უნდა იყოს დეტალურად აღწერილი გზშ-ს ანგარიშში.

- გზშ-ს ანგარიშში რისკების შეფასების მიზნით ჩასატარებელი კვლევების/აღწერის მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირ კოპირებულია სხვა ჰესების მშენებლობის მიზნით მომზადებული გზშ-ს ანგარიშიდან. სავარაუდოდ დებულების მიზნების ფორმალური შესრულებისთვის საკონსულტაციო კომპანიამ დააკოპირა მთელი რიგი საკითხები სვანეთში და სხვა რეგიონებში არსებული ჰიდროელექტროსადგურების პროექტების გზშ ანგარიშებიდან ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინების, ადგილზე ჩატარებული კვლევებისა და ანალიზის გარეშე. მაგ. პირდაპირ დამატებითი კვლევების გარეშე გადმოტანილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა, კუმულაციური ზემოქმედება, ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე, სოციალურ-ეკონომიკური გარემო, ზემოქმედება წყლის ხარისხზე. კვლევა არ შეიცავს მითითებას მკვლევარების თაობაზე, რაც ეჭვქვეშ აყენებს კვლევის ხარისხსა და მის სანდოობას.
- არასათანადოდაა გამოკვლეული ზემოქმედება იქთიოფაუნაზე (თევზის ფაუნა). გზშ-ის ციტირებაზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ „თევზჭერის შედეგად ვერ მოხერხდა იქთიოლოგიური მასალის მოპოვება“ რადგან “მდინარის ეს მონაკვეთი უკვე დატოვეს იქ მობინადრე თევზის სახეობებმა, ამის მიზეზი გახდა მდინარის კალაპოტთან მიმდინარე სამუშაოების ჩატარების დროს გამოწვეული ხმაური”. განმეორებით საკონტროლო ჭერებს ადგილი არ ჰქონია, ამდენად ჰესების პროექტის გზშ-თვის უმნიშვნელოვანესი საბაზისო მონაცემების შეგროვება იქთიოფაუნის მდგომარეობის დასადგენად არ შესრულებულა. წარმოდგენილი არ არის ასევე, წყლის სხვა ბინადრების (თევზის გარდა) კვლევის შედეგები. კვლევა მხოლოდ საკვები ბაზის ვიზუალური შეფასებით შემოიფარგლა. შესაბამისად არ არის შემუშავებული საჭირო შემარბილებელი სამუშაოები მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე.
- გზშ-ს ანგარიშის ქვეთავში „დაცული ტერიტორიები“ და მრავალ სხვა ადგილას მითითებული მანძილი მილსადენიდან ბაწარას ნაკრძალის საზღვრამდე არის 100-120 მ, თუმცა ნაკლებ მანძილს გვიჩვენებს სამინისტროსადმი წარდგენილი გის-კოორდინატები: მილსადენამდე დაახლოებით 75 მეტრია, ხოლო გზა უშუალოდ დაცული ტერიტორიის კიდეზე გადის. ტრანსპორტის და მილსადენის მშენებლობის ხმაურის ზემოქმედება დაცული ტერიტორიების ველურ გარემოზე და ჰესის აგრეგატების ხმაურის შესაძლო მუდმივმოქმედი ზემოქმედება მოსახლეობაზე ექსპლუატაციის პროცესში არ არის გათვალისწინებული, შესაბამისად არ არის შეფასებული ზემოქმედებები და დასახული შემარბილებელი ზომები. ამასთან, მანძილები კრიტიკულ რეცეპტორებამდე (ნაკრძალი, მოსახლეობა) შემცირებულია რეალობასთან შედარებით, ხოლო შემარბილებელი ფაქტორები (მაგ. ხე-მცენარეულობა, როგორც ბარიერი) გაზვიადებულადაა წარმოდგენილი. დაცული ტერიტორიები სავსე კვლევების მიღმა დარჩა. მის ველურ სამყაროზე ზემოქმედება ახლოს მიმდებარე გზაზე მძიმე ტექნიკის ხანგრძლივი გადაადგილებით იგნორირებულია, თანაც მიჩნეულია, რომ ველური ბუნება “შეჩვეულია” საგზაო ხმაურს. შემცირებულადაა ნაჩვენები ჰესის მილსადენის მშენებლობის ხანგრძლიობა ნაკრძალის მახლობლად.
- გზშ არ შეიცავს არანაირ კვლევას ხეობაში უკვე არსებული ჰესებისა და დაგეგმილი ჰესის კუმულაციურ (ერთობლივ) ზეგავლენაზე. კერძოდ კი, ხადორი 3 ჰესი წარმოადგენს მდინარე ალაზანზე არსებული ჰესების კასკადის ნაწილს, რომელთაც ერთობლივი ექსპლუატაციის პირობებში მომეტებული ზიანის რისკებს უქმნის ადგილობრივ ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოს. უშუალოდ ჰესების ექსპლუატაციის გარდა, ასევე არ არის შეფასებული არსებული ელექტროგადამცემი ხაზების ზეგავლენა. დატანილი არ არის ხადორი-1 ჰესის

ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც სავარაუდოდ ყველა არსებული და დაგეგმილი სქემისთვის იქნება გამოყენებული. ელექტროგადამცემი ხაზების კუმულაციური ზემოქმედების საკითხი განხილული არ არის, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მცირე და საშუალო ჰესების გზშ-ის შემთხვევაში, განსაკუთრებით კასკადისთვის.

4. ჰიდროელექტროსადგური სამყურისწყალი 2 ეკოლოგიური დასკვნის შეფასება

„სამყურისწყალი 2 ჰესი“-ს მშენებლობა გათვალისწინებულია ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. სამყურისწყალის ხეობაში არსებული, „ხადორჰესი“-ს ზედა ნაწილში, მდინარე სამყურისწყალის 3 კმ სიგრძის მონაკვეთზე. ჰესის სიმძლავრე იქნება 27 მგვტ. მშენებლობას ახორციელებს შპს „ფერი“.

ჰესის მშენებლობის ფარგლებში დაგეგმილია, ბურღვა-ფეთქებითი სამუშაოებით გვირაბების გაყვანა, სამშენებლო ტერიტორიამდე მისასვლელი გზის მშენებლობა და ელექტროგადამცემ ქსელთან დაკავშირების მიზნით, სპეციალური, 38 კმ.-მდე სიგრძის 110 კვ.ტ ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა.

ჰესის მშენებლობამდე კანონმდებლობის თანახმად, კომპანიას გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში უნდა აეხსახა კვლევები იმასთან დაკავშირებით თუ რა ზიანი შეიძლება მიადგეს ჰესის მშენებლობის შემთხვევაში გარემოსა და მოსახლეობას. ამ კვლევების ძირითადი მიზანია ჰესის ისეთი პროექტის შექმნა, რომელიც მაქსიმალურად შეარბილებს ზიანს. კანონმდებლობის ამგვარი მოთხოვნის მიუხედავად, სახელმწიფომ ჰესის მშენებლობაზე მნიშვნელოვანი კვლევების ჩატარების გარეშე გასცა დადებითი [ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა](#) და კომპანიას მათი წარმოდგენის ვალდებულება ნებართვის მიღების შემდგომ დააკისრა.

მაგალითად, კომპანიამ სახელმწიფოს ნებართვის მიღების შემდგომ უნდა წარუდგინოს ისეთი ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ინფორმაცია და კვლევები, როგორცაა:

- დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, საშიში გეოდინამიკური პროცესების, შედეგების და მოსალოდნელი გარემოსდაცვითი რისკების შეფასების შედეგები;
- წინასამშენებლო კვლევების ჩატარება პროექტის გავლენის ზონაში ცხოველთა სახეობების არსებობასა და მათზე მოსალოდნელი ზემოქმედებების სახეობებზე, ასევე მცენარეების ჭრა-განადგურებით მიყენებულ ზიანზე.
- მათ შორის არ არის განსაზღვრული წყალსაცავის პარამეტრები, ანუ ადგილობრივი ბუნების რა ნაწილს მოიცავს ჰესი. კერძოდ, წყალსაცავის სიგრძე, სარკის ზედაპირის ფართობი და საერთო მოცულობა ნორმალური და კატასტროფული შეტბორვების დროს. აღნიშნული ნაწილი ჰესის მშენებლობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.
- ინფორმაცია, თუ როგორ განხორციელდება „ეკოლოგიური ხარჯის“ (წყლის) გაშვება ქვემო ბიეფში (მდინარის ქვედა ნაწილში) თევზსავალის მუშაობის პერიოდში.
- სანაყაროების და რეკულტივაციის პროექტი;
- ინფორმაცია თევზსავალი ნაგებობის მუშაობის ეფექტურობის შესახებ;

გზშ საერთოდ არ შეიცავს არანაირ დასაბუთებას ან არასათანადოდ სწავლობს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვან საკითხებს:

- ხადორი 3-ს მსგავსად დოკუმენტში „ეკოლოგიური ხარჯის“ არც მეთოდოლოგიაა წარმოდგენილი, არც მისი მნიშვნელობის განსაზღვრის არგუმენტაცია და გათვლებია მოყვანილი და სრულიად უაპელაციოდაა წარმოდგენილი მისი მნიშვნელობა. აღნიშნული

მიუღებელია ნებისმიერი ჰესის გზშ-ში, სადაც „ეკოლოგიური ხარჯის“ განსაზღვრა ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

- გზშ-ის ანგარიშში კუმულაციური ზემოქმედებების შეფასება და სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები საერთოდ არ განიხილება, თუმცა საყოველთაოდაა ცნობილი, რომ კუმულაციური ზემოქმედებები (როგორებიცაა ჰესების კასკადის ფაქტორი, ახალი მისასვლელი გზების გაყვანა ველური ბუნების სრულიად მიუდგომელ ადგილებში და დიდ დისტანციაზე გასაყვანი ელექტროგადამცემი ხაზების ზემოქმედება,) ცალცალკე და ერთობლივად, (კუმულატიურად) უნდა შეფასდეს.

5. შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საპოლიციო კონტროლის პრაქტიკები ადგილობრივი აქტივისტების წინააღმდეგ

მთელი წლის განმავლობაში პანკისის ხეობაში ჩანს ჰესების კასკადის მშენებლობის მოწინააღმდეგე თემის წევრებისა და აქტივისტების მიმართ საპოლიციო შევიწროების პრაქტიკები.

2019 წლის 29 იანვარს პანკისის ხეობაში გაიმართა სახალხო კრება, სადაც ადგილობრივებმა ჰესების კასკადის მშენებლობის საკითხზე იმსჯელეს. კრების შემდგომ შსს-ს წარმომადგენლებმა კახეთის პოლიციის დეპარტამენტში დაიბარეს ხეობის ის რამდენიმე უხუცესი, რომლებიც კრების შეხვედრაზე ღიად ეწინააღმდეგებოდნენ ჰესების მშენებლობას. მათ რამდენიმე საათის გამავლობაში, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ჰესების მშენებლობის მხარდაჭერის აუცილებლობაში არწმუნებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მსგავსი ქმედება ხეობის მოსახლეობის მიმართ პირველი არ არის. საპროტესტო აქციების დაწყებისთანავე, ჰესების კასკადის მშენებლობის მოწინააღმდეგეებისა და აქტივისტების პოლიციის განყოფილებაში დაბარებამ, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაკითხვამ და დაშინების მცდელობებმა პრაქტიკის ხასიათი მიიღო. 2018 წლის ზაფხულის განმავლობაში, EMC-ის ინფორმაციით, შსს-მ არაერთი აქტივისტი გადაიყვანა პოლიციის განყოფილებაში, სადაც მათ უსვამდნენ შეკითხვებს ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ გამოხატული მოსაზრებების გამო, ღიად ემუქრებოდნენ და უცხადებდნენ, რომ წინააღმდეგობის გაგრძელების შემთხვევაში შესაბამის ზომებს მიიღებდნენ. ამ ფაქტების ირგვლივ EMC-იმ გაცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ითხოვა ფაქტების შესწავლა და მოქალაქეთა პოლიციის განყოფილებებში გადაყვანის სამართლებრივი საფუძვლის განმარტება. თუმცა, მოთხოვნას შსს-ს მხრიდან რაიმე რეაგირება არ მოჰყოლია. EMC-ის მიმართვის საფუძველზევე აღნიშნულ ფაქტებს ასევე სწავლობს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

პანკისის ხეობაში ჰესების მშენებლობის პროცესის ღია მხარდაჭერა შსს-ს მხრიდან და ამ პროცესში საპოლიციო აპარატისა და კონტროლის მექანიზმების გამოყენება არსებითად ეწინააღმდეგება სამინისტროს კანონით გათვალისწინებულ მანდატს, კომპეტენციებს და სამართლდამცავი ორგანოების მიმართ საზოგადოებრივ ნდობას ასუსტებს. ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული უკმაყოფილების გამოხატვა ხეობაში არსებითად მშვიდობიან ხასიათს ატარებს და ამ პროცესში შსს-ს ინტერვენციის სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს. ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით კომპანიასა და ადგილობრივებს შორის მიმდინარე კომუნიკაციის და მოლაპარაკების მოდერაციის ფუნქცია შეიძლება მხოლოდ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გააჩნდეს, ისიც კანონით დადგენილი წესითა და პროცედურით. ამ პროცესში შსს-ს უკანონო მონაწილეობა კი არსებითად ზღუდავს მოქალაქეთა გამოხატვის თავისუფლებას და მიზნად ისახავს ადგილობრივი საზოგადოების დაშინებას, კონტროლსა და სოციალური პროტესტის დასუსტებას, კერძო ინტერესების დასაცავად სახელმწიფოს მხრიდან საპოლიციო რესურსის ამ ინტენსივობით გამოყენება და

სოციალური გამოწვევების რეპრესიული აპარატის გამოყენებით რეგულირება არსებითად მოდის წინააღმდეგობაში დემოკრატიული, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებთან.